

დეცენტრალიზებული ფული და ტრადიციული ეკონომიკური თეორიები

DOI:10.36962/ECS107/3-5/2025-33

ეკა ავალიანი

სტუდენტორიტი

E-mail: avalianiekaa@gmail.com

რეზიუმე

დეცენტრალიზებული ფულის კონცეფციამ, მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა და დღესდღეობით მოიცავს არა მხოლოდ კრიპტოვალუტებს, არამედ დეცენტრალიზებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს დეცენტრალიზებული ბირჟების (DEX), საკრედიტო და სადაზღვევო პლატფორმების, სტეიბლკოინებისა და ჭკვიანი კონტრაქტების სახით, რაც მიაწვდის როგორც დეცენტრალიზებული ფულის მნიშვნელობაზე, ასევე ფინანსური სისტემის თავისუფლებაზე, გამჭვირვალობაზე და ინოვაციისკენ სწრაფვაზე.

გლობალური ეკონომიკის პირობებში, როდესაც დეცენტრალიზებული ფულის განვითარებას თან ახლავს ეკონომიკური და ტექნოლოგიური ინოვაციები, დღის წესრიგში დგება დეცენტრალიზებული ფულის ძირითადი პრინციპების შესწავლა კლასიკური ეკონომიკური თეორიების კონტექსტში. ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით, ეკონომიკური პრინციპების კლასიკური მიდგომების ადაპტირება და გაფართოება ხელს შეუწყობს ფინანსური ინკლუზიისა და ეკონომიკური განვითარების ახალი გზების აღმოჩენას. ამიტომ საჭიროა დეტალურად გავიზრდოთ, თუ როგორ შეიძლება თანამედროვე ფინანსურმა ინოვაციებმა გარკვეულწილად შეცვალონ ეკონომიკური თეორიები და რა გავლენა შეიძლება ჰქონდეთ მონეტარული პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე გრძელვადიან პერსპექტივაში.

კვლევაში განხილულია კლასიკური და ნეოკლასიკური მონეტარული თეორიები, ავსტრიული ეკონომიკური სკოლის და თანამედროვე მონეტარული თეორიის (MMT), ფუნდამენტალური საკითხებისა და დეცენტრალიზებული ფულის ეკონომიკური მოდელის საყრდენი პრინციპების შედარება, რის საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ: ახალ ინოვაციებზე დაყრდნობით წარმოშობილი დეცენტრალიზებული ციფრული ფული და ფინანსურ სისტემების ფუნქციონირების მექანიზმები, განსხვავებული ბუნების მიუხედავად, გარკვეულ საკითხებში, ეყრდნობიან, იმეორებენ და ადაპტირდებიან ფუნდამენტალურ ეკონომიკურ პარადიგმებთან.

საკვანძო სიტყვები: კლასიკური ეკონომიკური თეორია, დეცენტრალიზებული ფული, ბლოკჩეინ ტექნოლოგია, ავსტრიული სკოლა, თანამედროვე მონეტარული თეორია, კრიპტოვალუტა.

ძირითადი ტექსტი

კლასიკური ეკონომიკური თეორია, რომელიც XVIII საუკუნის ბოლოს წარმოიშვა, ყურადღებას ამახვილებდა თავისუფალი ბაზრის როლზე, კონკურენციის მნიშვნელობაზე და “უხილავი ხელის” კონცეფციაზე. იმ პერიოდის ფულადი სისტემები ეფუძნებოდა სასაქონლო ფულს (ოქროს), რომელიც თავისი არსით ბევრად დეცენტრალიზებული იყო, ვიდრე თანამედროვე ფიატი ვალუტა. ამ კონტექსტში შესაძლებელია შევადაროთ და დავაპირისპიროთ ფულის ევოლუციისა და ეკონომიკაზე გავლენის შესაძლებლობების ისტორიული პრეცედენტები.

კლასიკური მონეტარულ თეორიაში მკვეთრადაა ჩამოყალიბებული ფულის როგორც გაცვლის, საანგარიშო ერთეულის და ღირებულების საზომის როლი. ეფექტური ბაზრის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად განსაზღვრულია სტაბილური ვალუტის შენარჩუნების აუცილებლობა.

დეცენტრალიზებული სისტემის შესწავლისას დგება საკითხი, როგორ შენარჩუნდება ფულის კლასიკური ფუნქციები ცენტრალიზებული მონეტარული პოლიტიკის გარეშე. მიუხედავად გა-

მონვევებისა რეალობის გათვალისწინებით კრიპტოვალუტები გამოიყენება გაცვლის საშუალებად, საანგარიშო ერთეულად და ღირებულების საზომად. თუმცა, ისინი ჯერ კიდევ განიცდიან სტაბილურობის გამოწვევებს, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს მათ ტრადიციულ ვალუტებთან კონკურენციაში. ამის მიუხედავად, დეცენტრალიზებული საფინანსო სერვისების (DeFi) განვითარება მნიშვნელოვნად ზრდის მათ პოტენციალს როგორც ფინანსური ინსტრუმენტის, ისე ინვესტიციური აქტივის როლში.

ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია, რომელიც ცნობილია როგორც “ფულის რაოდენობრივი თეორია”, ხაზს უსვამს ფულის მიწოდებასა და ინფლაციის კონტროლს. ბიტკოინის შეზღუდული მიწოდება (21 მილიონი ერთეული) მსგავსია საქონელზე დაფუძნებული ფულის მოდელის, რაც ხელს უწყობს ინფლაციისგან დაცვას. თუმცა, სხვა კრიპტოვალუტები, როგორიცაა მაგ., ეთერიუმი, ახორციელებენ მიწოდების ალტერნატიულ მექანიზმებს, რაც აჩენს ახალი ტიპის ეკონომიკურ დებატებს. დეცენტრალიზებული სისტემა და ნეოკლასიკური ეკონომიკა იზიარებენ გარკვეულ საერთო მიდგომებს ბაზრის ეფექტურობის, რაციონალური გადანაცვებისა და მარგინალური ანალიზის როლზე.

ავსტრიული ეკონომიკური სკოლა, რომელიც მხარს უჭერს მინიმალურ სახელმწიფო ჩარევას და ინდივიდუალურ ეკონომიკურ თავისუფლებას, იდეოლოგიურად თავსებადია დეცენტრალიზებული ფულის კონცეფციასთან. ამ სკოლის წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ მიურეი როთბარდი და ფრიდრიხ ჰაიეკი, ხშირად ამახვილებდნენ ყურადღებას “ჯანსაღ ფულზე”, რომელიც არ ექვემდებარება მთავრობის კონტროლს. ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენებით, დეცენტრალიზებული ფინანსები სწორედ ამ პრინციპებს ეყრდნობიან.

თანამედროვე მონეტარული თეორია (MMT) და დეცენტრალიზებული ფულადი სისტემები, მიუხედავად იმისა, რომ ერთსა და იმავე პერიოდში თანაარსებობენ, ეკონომიკის მართვის თვალსაზრისით სრულიად განსხვავებულ მიდგომებს წარმოადგენენ. MMT-ის ძირითადი პრინციპი ეფუძნება მოსაზრებას, რომ სახელმწიფო, რომელსაც აქვს მონოპოლიური უფლება საკუთარი ვალუტის შექმნაზე, თეორიულად არ არის შეზღუდული საგადასახადო შემოსავლებით და შეუძლია ეკონომიკის სტიმულირება პირდაპირი ხარჯვით. ამ მიდგომით, მთავრობების საზრუნავი უნდა იყოს არა ბიუჯეტის დეფიციტზე ზრუნვა, არამედ შეზღუდვების დანესება ინფლაციის მართვა და სრული დასაქმების უზრუნველყოფა.

დეცენტრალიზებული ფულადი სისტემები, რომლებიც ბლოკჩეინ ტექნოლოგიაზეა დაფუძნებული, სრულად გამორიცხავენ ცენტრალური ბანკებისა და მთავრობის ჩარევას ფულად პოლიტიკაში. კრიპტოვალუტები არ ექვემდებარებიან სახელმწიფო მონეტარულ ინსტიტუტებს და მათი მიწოდება ხშირად პრედეტერმინირებული ალგორითმებით განისაზღვრება. შედეგად, დეცენტრალიზებული ვალუტები არ ექვემდებარებიან ინფლაციურ პოლიტიკას, რომელსაც ცენტრალური ბანკები ხშირად იყენებენ ეკონომიკის სტიმულირებისთვის.

ამ ორი მიდგომის განსხვავება ნათლად ჩანს მათ ეკონომიკურ როლებსა და გავლენაში. ერთის მხრივ, MMT-ის მომხრეები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო უნდა მართავდეს ფულად მიწოდებას და ფისკალურ პოლიტიკას სოციალური და ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. მეორეს მხრივ, დეცენტრალიზებული ფინანსების მხარდამჭერები ფიქრობენ, რომ თავისუფალი ბაზარი და ტექნოლოგიური გადანაცვებები, როგორიცაა ბლოკჩეინი, უზრუნველყოფენ ფინანსური ტრანზაქციების გამჭვირვალობას, ხელმისაწვდომობასა და ეფექტიანობას.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი მიდგომა სრულიად განსხვავებულ პრინციპებს ემყარება, ორივეს აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. MMT-ის მხარდამჭერები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფოს მიერ ფულის კონტროლი ხელს უწყობს ეკონომიკურ სტაბილურობას, თუმცა ამავე დროს, ზედმეტმა ჩარევამ შეიძლება გამოიწვიოს ინფლაციური რისკები. თავის მხრივ, დეცენტრალიზებული ფინანსური სისტემები გვთავაზობენ უფრო გამჭვირვალე და დამოუკიდებელ მონეტარულ პოლიტიკას, მაგრამ ამავედროულად, ისინი ინფლაციის კონტროლის გარეშე შეიძლება გახდნენ მაღალი სპეკულაციის საგანი.

არსებული განსხვავებების მიუხედავად მომავალში შესაძლებელია მოხდეს ამ ორი სისტემის გარკვეული შერწყმა ან ჰიბრიდიზაცია, რაც მიანიშნებს ფინანსურ სისტემებში ახალი დინამიკის ჩამოყალიბებაზე. რადგან გლობალურ ეკონომიკაში დეცენტრალიზებული ფინანსების ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა არის ტრანსსაზღვრო გადარიცხვების გამარტივება. საერთაშორისო ვაჭრობისა და კაპიტალის ნაკადების თვალსაზრისით, კრიპტოვალუტები ტრადიციულ საბანკო სისტემასთან შედარებით სთავაზობენ უფრო სწრაფ, იაფ და ნაკლებად ბიუროკრატიულ ალტერნატივას. ამავდროს, რეგულაციებისა და სამართლებრივი ჩარჩოების არარსებობა შეიძლება გახდეს სერიოზული დაბრკოლება მათი მასობრივად მიღების გზაზე.

დასკვნა

დეცენტრალიზებული ფულის განვითარება ახალ ეკონომიკურ პარადიგმებს აყალიბებს, რაც თავისთავად მოითხოვს კლასიკური და თანამედროვე მონეტარული თეორიების გადახედვის საჭიროებას. ფინანსური ტექნოლოგიების განვითარება კი ხელს უწყობს ახალი ტიპის ეკონომიკური ურთიერთობების შექმნას, რაც ტრადიციული ეკონომიკური მოდელების ევოლუციას საჭიროებს.

კლასიკური და ნეოკლასიკური თეორიების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დეცენტრალიზებულ ფულად სისტემებს გააჩნიათ როგორც უპირატესობები, ისე სერიოზული გამოწვევები. ერთი მხრივ, ისინი ქმნიან უფრო გამჭვირვალე, ინკლუზიურ და ეფექტიან ფინანსურ გარემოს, რომელიც ნაკლებად ექვემდებარება ცენტრალიზებულ კონტროლს. მეორე მხრივ, დეცენტრალიზებული ვალუტების დიდი ნაწილისთვის აუცილებელია სტაბილურობის და ფართომასშტაბიანი მიღების უზრუნველყოფა, რათა ტრადიციულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ღირსეული კონკურენცია გაუწიონ.

დეცენტრალიზებული ფინანსური სისტემების წარმატება დიდწილად დამოკიდებულია ტექნოლოგიურ პროგრესზე, მომხმარებელთა ნდობაზე და სამართლებრივ ჩარჩოებზე. ბლოკჩეინი და სხვა დეცენტრალიზებული ტექნოლოგიები პოტენციურად შესაძლოა გახდეს მომავლის ფინანსური სისტემის საფუძველი, თუმცა ამისათვის საჭიროა მარეგულირებელი ჩარჩოების ადაპტაცია, რათა დაცული იყოს როგორც მომხმარებელთა უფლებები, ისე ფინანსური სტაბილურობა.

თანამედროვე რეალობაში აუცილებელია დეცენტრალიზებული და ცენტრალიზებული ფინანსური სისტემების ბალანსის პოვნა. დეცენტრალიზებული ფული გვთავაზობს ინოვაციურ ალტერნატივას, თუმცა მის გრძელვადიან წარმატებას განსაზღვრავს მისი ინტეგრაცია არსებულ ფინანსურ სისტემებთან.

ეკონომიკური თეორიების განხილვა და ანალიზი დეცენტრალიზებული ფულადი სისტემის შესწავლის კონტექსტში საშუალებას იძლევა მეტნაკლებად განვსაზღვროთ დეცენტრალიზებული სისტემის პოტენციური სარგებელი და რისკი, გავაანალიზოთ ფულის განვითარების ისტორია და შევაფასოთ თანამედროვე ფინანსური ინოვაციების პოტენციალი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მექვაბიშვილი.ე „თანამედროვე ეკონომიკური თეორიები“ თბ. 2016წ
2. ჯოლია გ. „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“ თბ. 2015წ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. ცაავა გ. ბიბლიური ა. “ ციფრული ეკონომიკა ფინანსურ ინდუსტრიაში“ თბ, გამომცემთა-მლობა დანი 2023 წ
4. Theodore Mariolis, Lefteris Tsoulfidis “Modern Classical Economics and Reality. A Spectral Analysis of the Theory of Value and Distribution” https://link.springer.com/chapter/10.1007/978-4-431-55004-4_1
5. Theodore Mariolis, Lefteris Tsoulfidis “Old and Modern Classical Economics” e: 14 January 2016 pp 1-14
6. Oana Simona” Classical, Neoclassical and New Classical Theories and Their Impact on Macroeconomic Modelling” <https://www.sciencedirect.com/journal/procedia-economics-and-finance>

REFERENCES

1. Mekvabishvili E. "Modern Economic Theories" Tbilisi 2016 TSU
2. Jolia G "International Economic Relations" Tbilisi 2015 European University Press
3. Tsaava G, Bibiluri A "Digital Economy in the Financial Industry" Tbilisi 2023 Publishing House Dan.
4. Theodore Mariolis, Lefteris Tsoulfidis "Modern Classical Economics and Reality. A Spectral Analysis of the Theory of Value and Distribution" https://link.springer.com/chapter/10.1007/978-4-431-55004-4_1
5. Theodore Mariolis, Lefteris Tsoulfidis "Old and Modern Classical Economics" e: 14 January 2016 pp 1-14
6. Oana Simona "Classical, Neoclassical and New Classical Theories and Their Impact on Macroeconomic Modelling" <https://www.sciencedirect.com/journal/procedia-economics-and-finance>

DECENTRALIZED MONEY AND TRADITIONAL ECONOMIC THEORIES

Eka Avaliani,

PhD student of GTU,

E-mail: avalianiekaa@gmail.com

RESUME

The concept of decentralized money has undergone significant evolution, so present includes not only cryptocurrencies, but also decentralized financial instruments. In the form of decentralized exchanges (DEX), credit and insurance platforms, stablecoins and smart contracts. All these indicates both the importance of decentralized money and the freedom, transparency and desire for innovation of the financial system.

In the conditions of the global economy, when the development of decentralized money is accompanied by economic and technological innovations, the study of the basic principles of decentralized money in the context of classical economic theories is on the agenda. Taking into account technological progress, the adaptation and expansion of classical approaches to economic principles will contribute to the discovery of new ways of financial inclusion and economic development. Therefore, it is necessary to understand in detail how modern financial innovations can change economic theories and what impact they can have on the formation of monetary policy in the long term.

The study discusses classical and neoclassical monetary theories, the Austrian School of Economics and Modern Monetary Theory (MMT), a comparison of fundamental issues and the underlying principles of the economic model of decentralized money. Based on which we can conclude: decentralized digital money and the mechanisms of functioning of financial systems arising from new innovations, despite their different nature, in certain issues, rely on, repeat and adapt to fundamental economic paradigms.

Key words: classical economic theory, decentralized money, blockchain technology, Austrian school, modern monetary theory, cryptocurrency.